მსოფლიოს მართვის თეორიები

ალლენ დალესი

ალლენ დალესი

ალლენ უელშ დალესი (Allen Welsh Dulles) - დაიბადა ნიუ-ორკში, უოტერტაუნის ოლქში, 1893 წლის 7 აპრილს და გარდაიცვალა, 1969 წლის 29 იანვარს, ვაშინგტონში. 1953 – 1961 წლებში, იგი იყო ამერიკელი დიპლომატი და მზვერავი. შვეიცარიაში, ბერნში, ხელმძღვანელობდა სტრატეგიული მართვის სამსახურს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს მართავდა ცენტრალური დაზვერვის სამმართველოს.

იგი ცნობილია როგორც ანტიკომუნისტური განწყობის პიროვნება და ცივი ომის იდეოლოგი. მეორე მსოფლიო ომში, ფაშიზმზე გამარჯვების შემდგომ, ცხადი იყო რომ მსოფლიოს შესაძლოა „გაწითლება“ დამუქრებოდა. აუცილებელი იყო შემაკავებელი ზომების მიღება და რაც მთავარია საომარი მოქმედებების გარეშე, რომელიც ისტორიას „ცივი ომის“ სახელწოდებით ააქვს შემორჩენილი. ცხადია რომ იმ პერიოდში, მშვიდობის და გამარჯვების თანამონაწილეებს ძირითადად აშშ, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი წარმოადგენდნენ. ყველაზე დიდი წვლილი კი საბჭოთა კავშირს მიუძღოდა, რომელიც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ ახალ მსოფლიო საფრთხედ აღიქმებოდა და აუცილებელი იყო მათ მიერ შემაკავებელი გეგმის შემუშავება, რომლის ავტორობასაც ალლენ უელშ დალესს მიაწერენ. თუმცა სანამ აღნიშნული თეორიის განხილვაზე გადავიდოდეთ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე წლით ადრე, 1946 წელს, დიდი ბრიტანეთის საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნდა დოკუმენტი სახელწოდებით „რევოლუციის კომუნისტური წესები“, რომელიც ვითომდა შემთხვევით იქნა აღმოჩენილი გერმანიაში მოკავშირე ძალების მიერ.

აღნიშნული ტექსტი შეიცავდა რამოდენიმე ყურადსაღებ პუნქტს:

1. გაირყვნას ახალგაზრდობა; განერიდოს რელიგიას; შთაგონებულ იქნას ინტერესი სექსის მიმართ.
2. ყალბი არგუმენტაციის საფუძველზე დაიმსხვრეს ძველი მორალური ღირებულებები ...
3. ადამიანების გონება გამოითიშოს პოლიტიკიდან, და მთელი ყურადღება გადატანილ იქნას სპორტზე, სექსუალური ხასიათის ლიტერატურაზე, თამაშებზე და მსგავსი სახის ნაკლებმნიშვნელოვან საკითხებზე.
4. კონტროლზე იქნას აყვანილი ყველა მასიური საინფორმაციო საშუალება.
5. დაინგრეს საზოგადოების რწმენა ღირსეული ლიდერების მიმართ და ყოველი მათგანი წარმოჩინდეს, სასაცილოდ, სამარცხვინოდ და შეურაწმყოფელ პიროვნებად.

მსგავსი შინაარსის ამონარიდები ასევე იქნა გამოქვეყნებული 1960 წლის 24 აგვისტოს, გაზეთში „ლოს-ანჯელეს გერალდ“, სახელწოდებით „ტვინის გამორეცხვა, რუსული ხელმძღვანელობის ფსიქოპოლიტიკის მიხედვით“, რომელიც ასევე იყო გამოქვეყნებული 1955 წელს ნიუ-ორკში, ლაფაიეტა რონალდ ხაბარდოვის ფონდის მიერ, რომელიც ასევე გახლდათ „საენტოლოგიის“ ეკლესიის დამფუძნებელი. ამონარიდში ვკითხულობთ:

”ყველა სახის ნარკოტიკი გახდეს ხელმისაწვდომი, მიეცეს მოზარდს ალკოჰოლის მიღების საშუალება ქება-დიდებით, მომარაგდეს სექსუალური ლიტერატურით, ... ასეთი ფსიქოპოლიტიკა შეძლებს აღზარდოს მასებში ჩვენთვის საჭირო მიდრეკილებები არეულობის, უსაქმურობის და დროის უსარგებლოდ გატარებისათვის, და გაუღვივებს აზრს ისეთი არჩევანის გასაკეთებლად, სადაც იგრძნობენ სრულ თავისუფლებას ყველაფერში - რასაც გულისხმობს კომუნიზმი. თუ მოახერხებთ და ჩაუკლავთ მოზარდ თაობას ეროვნულ სიამაყეს და პატრიოტიზმის გრძნობას, თქვენ დაიპყრობთ ამ ქვეყანას“.

ალლენ დალესის ე.წ. გეგმაში, ერთის მხრივ გულისხმობენ საბჭოთა მოსახლეობის იდეოლოიურად გარყვნის პრინციპებს, რომელიც საკმაოდ ღია ფორმულირების სახით იქნა გადმოცემული და ერთ-ერთი ვერსიით, დალესის მიერ, 1945 წელს აშშ-ის კონგრესზე იქნა გაშუქებული. მეორეს მხრივ - აღნიშნული გეგმა, წარმოადგენს მისივე წიგნიდან ამონარიდს, რომელიც გამოქვეყნდა 1945 ან 1953 წლებში. თუმცა ისიც ცხადია რომ ამ გეგმის ტექსტის ღიად


ჯეიმს ფორესტალი

გამოქვეყნება, არასოდეს მომხდარა არც ერთ უცხოურ ენაზე და არც ინგლისურენოვანი ორიგინალი არ გამხდარა არც საზოგადოებისთვის და არც ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი. თუმცა, უფრო ხშირად ალლენ დალესის გეგმად თვლიან აშშ-ს 1948 წლის 18 აგვისტოს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ გამოცემულ მემორანდუმს 20/1, რომელიც როგორც ცნობილია, შემუშავებულ იქნა თავდაცვის მინისტრის ჯეიმს ფორესტალის მოთხოვნით, როგორც ანალიტიკური დოკუმენტი და წარმოადგენდა აშშ-ს და საბჭოთა კავშირის გრძელვადიან ურთიერთობათა პოლიტიკის მიზნებს, რომელსაც ზოგიერთი მოსაზრებით, არანაირი კავშირი არ გააჩნდა ალლენ დალესთან და არ შეიცავდა საბჭოთა მოსახლეობის მორალურად დეგრადირების მიზნებს. მიუხედავად ამისა, ამდენი წლის მერე, აღნიშნული ტექსტის რეზონანსულობამ, რუსეთის ფედერაცია იძულებული გახადა ე.წ. ალლენ დალესის „საბჭოთა კავშირის დაშლის გეგმა“ 2016 წელს, ექსტრემისტული მასალების სიაში შეეტანა.

ინტერნეტ წყაროებზე დაყრდნობით, გეგმის შინაარსი 1948 წლის მერე, საბჭოთა კავშირში ღიად, პირველად 1964 წელს, ქალაქ კიევში გამოქვეყნდა, როგორც რომანი - „შავ რაინდებთან“ (у чёрных рыцарей). აღნიშნულ რომანში საუბარია მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ, რუსეთისათვის ეკონომიკის აღდგენის ხელის შეშლაზე და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ერების საზოგადოებაში, კომუნიზმის მიმართ უნდობლობის დათესვა.

მეთოდები მრავალფეროვანია და დამოკიდებულია გამომგონებლურობაზე, წერს ავტორი. „პირველი რაზეც უნდა გამახვილდეს ყუადღება - არსებული სარწმუნოების, რწმენის - მარქსიზმ-ლენინიზმის გადასინჯვაა, რომელსაც უნდა დაუპირისპირდეს ყველა ფილოსოფიური მიმდინარეობები, გაიფილტროს და შეირჩეს ყველაზე უვნებელი და მატერიალური დიალექტიკის მატარებელი სწავლება, რომელიც ქადაგებს, რომ ყველაფერი მძრაობაშია და იცვლება გარემოსა და მდგომარეობის მიხედვით. ერთ-ერთ მძლავრ იარაღად შეიძლება იქცეს დეზინფორმაციაც. უდიდესი ადამიანური მოსაზრებები, ფიზიკის, ბიოლოგიის, ტექნიკის და სხვა მეცნიერებების, შეიძლება წარმოჩენილ იქნას ერთ დიდ იდეალისტურ ნაკრებად, და ზოგადად ნებისმიერი „ისტობა“, როგორც საშუალება, რომელთა გარკვევაშიც და გონზე მოსვლაშიც, იმდენი დრო დაეხარჯებათ ადამიანებს, რომ ამასობაში ყველაფერი „ჩვენს წისქვილზე დაასხავს წყალს“.

„ადამიანების ნატურა ყველაფერში ეძებს შვებას, ზოგი რელიგიაში, ზოგი სასმელში, ზოგი ღრეობაში, ზოგიც საქმის კეთებაში, რომელიც საუკეთესო წამლად ითვლება. ... ამიტომ მიუკადეთ მათ რელიგიისკენ და **მიიზიდეთ სექტაში** და თუ ასეთი არ არსებობს თავად შექმენით! მიაწოდეთ ენა მახვილებს ანეგდოტები და **აქილიკებინეთ წარსული და მომავალი**. ანეგდოტს ისეთი ძალა აქვს, რომ ერთის მხრივ შეუმჩნევლად ჩაიქროლებს, ხოლო მეორეს მხრივ ისეთ თხელ ფენას დატოვებს ქვეცნობიერში, რომელიც საჭირო დროს თავისებურ კატალიზატორად იქცევა ანტისაბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ. **ყველა ერის იმედი მისი მომავალი თაობაა!** ვალდებული ვართ გავაკეთოთ ისე, რომ ამ იმედმა გააცუროს ბოლშევიკები. ახალგაზრდები მიდრეკილნი არიან გართობისკენ და ეს უნდა მუდამ გვახსოვდეს და ვეძებდეთ გასაღებს მათ გონებასთან. **მოუწამლეთ სულები უნდობლობით ცხოვრების საზრისის მიმართ,** გაუღვივეთ იტერესი სექსუალური პრობლემების მიმართ, შეიტყუეთ ისეთი სატყუარებით თანამედროვე სამყაროსი, როგორიცაა მოდური ცეკვები, ლამაზი ტანისამოსი, სპეციალური ხასიათის ლექსები, მუსიკა და ისინი ყოველთვის იპოვნიან მიზეზს მშობლებთან დაპირისპირების. გაუთავებლად

შეიძლება სხვადასხვა საშუალებების ჩამოთვლა, თუმცა მთავარია შევძლოდ ამის დამტკიცება და ვიყოთ კომუნიზმის წინააღმდეგ ისეთი გამომგონებლურები ამ ფსიქოლოგიურ ომში, რომ კომუნისტური პროპაგანდა ვერ ასწრებდეს ჩვენს დაწევას“.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ შედგენილი მემორანდუმის 20/1, განსაიდუმლოებული მასალების თანახმად, აშშ-ს და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის პოლიტიკა უკავშირდებოდა ორ ძირითადა შემთხვევას:

1) საომარი (რომელიც ითვალისწინებდა გამარჯვებას საბჭოთა კავშირზე);

2) მშვიდობიანი (ომის არ არსებობა), რომლის მიზნებიც ითვალისწინებდა შემდეგს:

ა) შემცირდეს მოსკოვის გავლენა იმ დონეზე, რომ აღარ წარმოადგენდეს საფრთხეს მსოფლიოსთვის და საერთაშორისო კავშირის სტაბილურობისთვის.

ბ) მიღწეულ იქნას ძირფესვიანი ცვლილებები, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით იმ საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლითაც ხელმძღვანელობს რუსეთის ხელისუფლება.

ამ მემორანდუმით ისიც კი დაიშვებოდა რომ, საბჭოთა კავშირის უმეტეს ნაწილზე შეიძლებოდა კომუნისტური რეჟიმიც კი შენარჩუნებულიყო, რათა რომელიმე რესპუბლიკა, ღიად არ წარმოჩენილიყო როგორც პროამერიკული ქვეყანა. ყოველ შემთხვევაში ახალი წყობის რუსეთს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი:

ა) არ უნდა ყოფილიყო სამხედრო კუთხით იმდენად ძლიერი, რომ მეზობელ სახელმწიფოებს დამუქრებოდა;

ბ) უნდა მიენიჭებინა ეროვნული უმცირესობებისთვის ფართო ავტონომიური სტატუსი;

გ) ეკონომიკურად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული გარე სამყაროზე;

დ) არ უნდა მისცემოდა ახალი „რკინის ფარდის“ შექმნის საშუალება.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ შედგენილი მემორანდუმის 20/1 დირექტივის განვითარების მიზნით, 1950-იანი წლების დასაწყისში, შემუშავდა ახალი სრულიად საიდუმლო მემორანდუმი სახელწოდებით NSB 68 („აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მიზნები და ამოცანები). ერთის მხრივ, იგი იმეორებდა წინა მემორანდუმის, 20/1-ის რეკომენდაციებს, მაგრამ ამავე დროს, დეტალურად ასახავდა ამერიკის და საბჭოეთის ურთიერთდაპირისპირების სცენარს დანახულს ვაშინგტონის თვალით. კომუნისტური სისტემის და რეჟიმის რღვევის მიზნით, აშშ-ს ძირითად მიზანს წარმოადგენდა რუსი ერის მოკავშირედ გადაქცევა, რაც ხელს შეუწყობდა ამოცანის გაიოლებაში და გამარჯვების რეალურ შანსებს გაუჩენდა.

ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში 15 სახელმწიფო შედიოდა, 15 რესპუბლიკა, რომელიც ყველაზე მძლავრი იარაღით, კომუნისტური იდეოლოგიით იყო განმსჭვალული და შეუდრეკელ მოწინააღმდეგედ ევლინებოდა აშშ-ს. მათ რწმენას ისიც ანმტკიცებდა, რომ მსოფლიოს გადამრჩენებად და ბოროტების დამმარცხებლებად ითვლებოდნენ.

ე.წ. ალლენ დალესის გეგმა მიზნად ისახავდა პოსტ საბჭოთა რესპუბლიკებში მარიონეტული ხელისუფლების დასმას და ეთნიკური სიძულვილის გაღრმავებას, რაც ერთის მხრივ ჩვენს უახლოეს ისტორიას ასახავს. გეგმის მთავარი ამოცანა იყო, რაც შეიძლება მეტი რესპუბლიკა მოექციათ თავის გავლენის ქვეშ, რისთვისაც საჭირო იყო დარტყმა მიეყენებინათ ეროვნულ ცნობიერებაზე. ფაქტია რომ იმ ერის დამორჩილება სადაც არსებობს ტრადიციები, ეროვნული იდეალები, პიროვნებები და ავტორიტეტები, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ყველა ინსტიტუცია უნდა გახრწნილიყო, როგორიცა ეკლესია, მწერლობა, უნივერსიტეტები, სკოლები, ლიტერატურა და ა.შ. ამ ყოველივეს გარეშე, საზოგადოება დაბნეულ ბრბოდ გადაიქცევა, ვერასოდეს გაერთიანდება და მართვას დაემორჩილება.

გეგმის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო ქვეყანაში **ქაოსის დანერგვა**, ანუ, **ჭეშმარიტი ფასეულობების ყალბი ანალოგებით შეცვლა. ეროვნული ღირებულებების დაკნინება-შეცვლა და ხელოვნურად შეთითხნილი ყალბი ღირებულებების პატივისცემის იძულება.**

ქვეყნის მმართველობაში შეუმჩნევლად ქაოსის და დაბნეულობის შექმნა (ჩვენივე დახმარებით დანიშნული თანამდებობის პირების დახმარებით), რათა ვერავინ გაარკვიოს სადაა თავი და სად ბოლო.

პატიოსნება და წესრიგი დასაცინი და ზედმეტი უნდა გახდეს. უტიფრობა, თავხედობა, სიცრუე და ფლიდობა, ლოთობა და ნარკომანია, ხალხთა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდების ჩვეულებად გადაიქცეს.

მომრავლდება მკვლელობები, პროსტიტუცია. გადაშენების გზაზე დადგებიან ერები.

პერიოდულად გათამაშდება გრანდიოზული ტრაგედიები.

შეიქმნას სამუშაო ადგილების დეფიციტი, ე.ი. გაუქმდეს და განადგურდეს ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა, ქვეყანაში დამკვიდრდეს ეგრედწოდებული საბაზრო ეკონომიკა, რაც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ დაკნინებას, ხალხის მასების დამშევა-გამათხოვრებას.

ქვეყნის ხელისუფლება გაყიდის ყველაფერ ფასეულს, ქარხნებს, ფაბრიკებს, შენობებს, მიწის პრივატიზაციის საშუალებით. მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ დარჩება საცხოვრებელი მინიმუმი, რაც გამოიწვევს ერისა და ქვეყნის სრულ დამოკიდებულებას ჩვენს მმართველობაზე, ამგვარად ათვისებული ქვეყნის ტერიტორიას ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენივე მიზნების განსახორციელებლად.“

გეგმის მიხედვით ჰომოსექსუალობა უნდა გამხდარიყო ხელშეწყობის საგანი: „ჩვენ სექსუალურად გავრყვნით თქვენს შვილებს, გავრყვნით სკოლებში, საერთო საცხოვრებლებში, გიმნაზიებში, გასახდელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კონოთეატრების ტუალეტებში, ჯარისკაცთა ყაზარმებში, სასტუმროებში, მამაკაცთა კლუბებში, პარლამენტის შენობებში, ყველგან, სადაც კი მამაკაცი მამაკაცს ხვდება.

ქალებო, იოცნებეთ თავისუფლებაზე, ჩვენ წაგართმევთ თქვენს მამაკაცებს, მივანიჭებთ მათ აქამდე არნახულ კმაყოფილებას, რადგან სინამდვილეში მხოლოდ მამაკაცმა იცის როგორ მოხიბლოს მეორე მამაკაცი. მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ჩაწვდნენ მამაკაცის გრძნობათა და განცდათა სიღრმეს, მის გონსა და მის სხეულს.”

თქვენს კანონებს, რომლებიც კრძალავენს ჰომოსექსუალიზმს, შევცვლით ახლით. ახალი კანონმდებლობა წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის. ჰომოსექსუალები ერთმანეთს მხარში დაუდგებიან.

ჩვენ ერთიანი ვიქნებით პოლიტიკურად, სოციალურად, ფინანსურად, ვიქნებით მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და მხოლოდ მაშინ მივაღწევთ ტრიუმფს, როდესაც ერთიან სახეს ვუჩვენებთ ჩვენს ბოროტ და დაუძინებელ მტრებს - ჰეტეროსექსუალებს (ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრებს). თუკი გაბედავთ და ჩვენ პედერასტებსა და ცისფერებს დაგვიძახებთ, ჩვენ გაგანადგურებთ და შეურაცხვყოფთ თქვენს მკვდარ, არარაობა სხეულებს.

ჩვენ დავწერთ ლექსებს მამაკაცების სიყვარულზე, დავდგამთ სპექტაკლებს, გადავიღებთ ფილმებს, სადაც მამაკაცები ღიად და თავისუფლად კოცნიან ერთმანეთს და ყოველივე ამით ჩავანაცვლებთ თქვენს იაფფასიან, ხელოვნურ, სენტიმენტალურ, ინფანტილურ, მოსაწყენ ჰეტეროსექსუალურ ვნებებს.“

„ოჯახი –როგორც სიცრუის, პირფერობის, ღალატისა და სისასტიკის ბუდე, მოიშლება. ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც წამლავს წარმოსახვას და ფრთებს კვეთს თავისუფალ ნებას, დაინგრევა.

გენეტიკურ ლაბორატორიებში მოხდება ჩასახვა და აღმოცენება სრულყოფილი ბიჭუნებისა. ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ გვგმობს, დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთი „**ყმაწვილი**“

იქნება. ჩვენ მიჯაჭვულნი ვართ სილამაზისა და ესთეტიკის კულტთან. ყველაფერ მახინჯს, ვულგარულს და ბანალურს მოვსპობთ. ჩვენთვის უკიდურესობაც კი ძალიან ცოტაა…“

აღნიშნულ საკითხებს ასევე ეხმიანება ერთი ცნობილი დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“, რომელიც გადაღებულია ჯონ პერკინსის ავტობიოგრაფიული წიგნის მიხედვით. ნაწარმოებში მოთხრობილია სისტემაზე, რომელსაც აშშ-ი იყენებს თავის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების მიმართ და იმ ტიპის ლიდერებზე რომლებიც თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე არ და ვერ ზრუნავენ.

ფილმი იხილეთ ბმულზე: „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“.

ერთსულოვნება სიძლიერის საწინდარია

საზოგადოებრივი უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრი